ივ. ჯავახიშვილი და ი. გოგებაშვილი

მოამზადა ლევან ახვლედიანმა

რესურსის მასწავლებელს

მოსწავლეებმა უნდა დაწერონ თხზულება - ***„ადვოკატური თუ მეცნიერული ისტორია“***

თხზულების წერის დროს მოსწავლეებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ შემდეგ საკითხებზე:

1. რას ნიშნავს „ადვოკატური ისტორია“? ამ საკითხზე მსჯელობისას შესაძლებელია მაგალითების მოყვანა როგორც ქართული, ასევე უცხოური ისტორიოგრაფიიდან და პუბლიცისტიკიდან.
2. რა უპირატესობა აქვს, გოგებაშვილის აზრით, „ადვოკატურ ისტორიას“?
3. თქვენი აზრით, რით იყო გამოწვეული გოგებაშვილის და ჯავახიშვილის ამგვარად განსხვავებული შეხედულებების არსებობა?
4. რატომაა წინააღმდეგი ივანე ჯავახიშვილი „ადვოკატური ისტორიისა“?
5. ვის აზრს ემხრობით? თვლით თუ არა, რომ XXI საუკუნეში შესაძლებელია ამგვარი პოლემიკა; თუ კი - რატომ? თუ არა - რატომ?
6. **მასწავლებელთა საყურადღებოდ:**
   თხზულების წერის დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ მათი პოლემიკა შესაძლებელია დავაბრალოთ თაობათა შორის განსხვავებას. გოგებაშვილის თაობა 60-იანელთა თაობაა, რომელმაც მთელი თავისი ენერგია ეროვნულ იდენტობასა და ერის თვითგადარჩენას შეალია. ამავე დროს, გოგებაშვილმა იმ დროს მიიღო განათლება, როდესაც ევროპაში ერთა თვითგამორკვევისა და მრავალი ნაციონალური სახელმწიფოს ჩამოყალიბების (იტალია, გერმანია, რუსეთის, ოსმალეთისა და ავსტრია-უნგრეთი იმპერიებში შემავალი ერების ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის და სხვა) ეპოქა იყო. გოგებაშვილი, როგორც ჩანს, სწორედ ამ ეპოქებში დაწერილ ისტორიებს უნდა უწოდებდეს „ადვოკატურ ისტორიებს“. გოგებაშვილის ამგვარი შეხედულება შესაძლებელია გამოწვეული იყო იმითაც, რომ ის არ იყო პროფესიონალი ისტორიკოსი.
   ჯავახიშვილი, პირველ რიგში, პროფესიონალი ისტორიკოსია, რომელიც ისტორიის, როგორც მეცნიერების დამცველად გამოდის. ის ახალი თაობის წარმომადგენელია, მიღებული აქვს ევროპული განათლება.

დანართი N1

იაკობ გოგებაშვილი ქართული პატრიოტიზმის შესახებ

ჩვენში პატრიოტობა სხვა თვისებისაა, სხვა გვარის ხასიათისაა: იგი იპყრობს მხოლოდ წმინდა გრძნობას მამულის სიყვარულისას. ამ გრძნობაში თავისთავის მეტი არა ურევია-რა. ვისიმე სიძულვილი, ვისიმე დათრგუნვის სურვილი, ვისიმე გაუბედურების წადილი მასში სრულიად არ იპოვება. ჩვენს პატრიოტებს სურთ აღდგენა და დაცვა ჩვენის უფლებისა, ეროვნებისა, თვითმმართველობისა, ლიტერატურისა, კულტურისა, რომელთა გარეშე არა ხალხს არ შეუძლიან სიცოცხლე და ადამიანური არსებობა. ჩვენი მამულიშვილები ნატრულობენ ჩვენის ქვეყნის ბედნიერების მიღწევას წმინდა და სწორი გზით, იმ გზით, რომელიც სხვის უბედურებაზედ არ არის გავლებული. როგორც წარსულში ჩვენი ერი იბრძოდა არა სხვა ხალხების დამონავებისათვის, არამედ თავის საკუთარის დამოუკიდებლობის დაცვისათვის, ისე ეხლა ჩვენი მამულიშვილები მოღვაწეობენ არა იმ განზრახვით, რომ სხვანი დავთრგუნოთ და მათის დამცირებით ჩვენი თავი ავიმაღლოთო, არამედ იმისათვის, რომ ჩვენს ერსაც გავუკვლიოთ ფართო გზა გონების განვითარებისა, ზნეობის ამაღლებისა და კეთილდღეობისაო. ერთის სიტყვით, ჩვენში მამულის სიყვარულმა მიიღო ისეთივე წმინდა მიმართულება, რომელსაც ამ ბოლოს ჟამს დაადგა დაწინაურებული, საუკეთესო წილი ევროპის დემოკრატიისა... წარსულში ჩვენ გვქონდა ამაზე უფრო ფართო ეროვნული ნიადაგი; მაგრამ ამ ნიადაგზედ წმინდა პურთან ხშირად ითესებოდა აზიური ღვარძლი და ჭვავი... ამის გამო წარსულიდგან უნდა გადმოვიტანოთ ეროვნული ნიადაგი და ევროპის ნაწარმოებში ავარჩიოთ სათესად წმინდა პური გონების, ზნეობის და ეკონომიურის სფეროებიდგან...

იაკობ გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი, ტ. 1, თბ., 1989, გვ. 236.

დანართი N2

იაკობ გოგებაშვილის დამოკიდებულება ეროვნული ისტორიისადმი:

უდიდესი მნიშვნელობა დედა-ენისა და ეროვნებისა ხალხის სიცოცხლისა და წარმატებისათვის კარგად შეიგნეს ევროპაში, მეტადრე ბოლო ხანებში, და ყველა პატარა ერი, დიდს სახელმწიფოსთან შეერთებული, სცდილობს დაამტკიცოს, რომ იგი ღირსია დაცულ იქმნას თავისის ენით, ლიტერატურით, ხალხოსნობით. საუკეთესო ღონისძიებად ამ წადილის მისაღწევად მათ მიაჩნიათ გამორკვევა და გამოაშკარავება თავისი წარსულის ცხოვრების ღირსებისა, ღვაწლისა, თავისებურობისა. ხშირად ამ გამოკვლევას აქვს ადვოკატური, გამოსარჩლებითი ხასიათი; ღირსებანი დიდდებიან, ნაკლულევანებანი მცირდებიან, მაგრამ მას სარჩულად უძევს უწმინდესი გრძნობა - მამულის სიყვარული - და უზენაესი მიზანი - დაცვა თავისის ერის სიცოცხლისა, ამ "ღვთის უდიდესი ქმნილებისა ქვეყნიერებაზედ", უშინსკის სიტყვით.

.... ჩვენ შორის რაღასა ვხედავთ? ხშირად სრულიად წინააღმდეგსა. საარაკო უკუღმართობის გამო ყოველს ღონისძიებასა ვხმარობთ, რომ ჩვენის წარსულის ყოველი ღირსება დავმალოთ, უარ-ვყოთ ყოველივე მისი თავისებურობა და ღვაწლი, გავათახსიროთ, დავამციროთ, მიწასთან გავასწოროთ, ამითი გამოვუთხაროთ ძირი ჩვენს აწმდგომსა და მომავალსა და გარეშე პირთ ვათქმევინოთ ესა: რამდენიმე ათასი წელიწადი ქართველებს გქონდათ საკუთარი ისტორიული ცხოვრება და სახელმწიფო, ხანდახან ძლიერიც, და იოტის ოდენა კი კულტურისათვის, თქვენივე სიტყვით, არა გაგიკეთებიათ-რაო. ეს უტყუარი საბუთია იმისა, რომ თქვენი ეროვნება უძლურია, უნიჭოა, ფუქსავატია და სრულიად ღირსი არ არის დაცვისა და სიცოცხლისაო; თქვენ თუ მასალად გამოდგებით სხვა ერისთვის, თორემ საკუთარისა და თავისებურის ცხოვრებისათვინ თქვენთვის ბუნებას არ მოუნიჭებია არც ძალა და არც შნო.

იაკობ გოგებაშვილი, ბურჯი ეროვნებისა, თბ., 1903, გვ. 49.

დანართი N3

ივანე ჯავახიშვილი ეროვნული ისტორიისადმი დამოკიდებულების შესახებ:

თუ ეს მიმართულება ("ადვოკატური გამოსარჩლების", - ი. ჯ.) ეროვნულ უფლებათა მოსაპოვებლად სრულებით გამოუსადეგარი გახლავთ, იგი ჩვენ საზოგადოებრივ და ნაციონალურ საქმისათვის, პირიქით, ფრიად მავნებლად უნდა ჩაითვალოს. ...ამნაირად საზოგადოება წყალობის მოლოდინს ეჩვევა და ამის გამო თითონ, როგორც მომლოდინეს შეეფერება, არას აკეთებს.

...ბ-ნ გოგებაშვილის მოწონებული ,,ადვოკატური“ მეცნიერება, როცა ,,ღირსებანი დიდდებიან, ნაკლულევანებები მცირდებიან,“ სრულებით უნაყოფო და უმნიშვნელოა ქართველობისათვის პოლიტიკაში, იგი, პირიქით, მავნებლად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ჩვენ ეროვნულ თვითცნობიერების გამოღვიძებისათვისაც.

...ბ-ნ გოგებაშვილის მოწონებულ ვითომდა სამეცნიერო გეგმას შედეგად მხოლოდ ის მოჰყვება, რომ ჩვენვე მოვატყუებთ ჩვენ თავს, საზოგადოებას, ჩვენვე ავუხვევთ თვალებს მას და დავაბრმავებთ. ხოლო ამგვარი მოქმედება ქართველ ერის თვითცნობიერების აღორძინებას შეაფერხებს და ბოლოს მოუღებს, ხალხს ბაქიობას და უსაფუძვლო ამაყობას და კმაყოფილებას შეაჩვევს, დასასრულ ჩვენ წარსულს, აწმყოს იდეალად დაუხატავს...

...ბ-ნ გოგებაშვილისებური ისტორია უფრო ნაციონალური ხოტბაა, ვიდრე მეცნიერება. ამ ნაირი მიმართულება ისტორიას პირველ ხანებში, დასაწყისში ჰქონდა და ეხლა მე-20 საუკუნის დამდეგს ამ მიმართულების განახლება მგონი, რომ ძალიან დაგვიანებული უნდა იყოს.

...ისტორიკოსი მოვალეა მხოლოდ მეცნიერულად შეისწავლოს და გამოიკვლიოს ამა თუ იმ ერის წარსული, გამოირკვიოს, რა და რა პირობებისა და მიზეზისგან დამოკიდებული იყო სახელმწიფო, ან საზოგადოებრივ, ან არა და ზნეობრივ-გონებრივი განვითარებისა და წარმატების მიმდინარეობა. ...ყოველ განათლებულ ეროვნებისათვის, რომელსაც თვითშემეცნება მოეპოვება, აუცილებლად საჭიროა იცოდეს თავის წარსულ საზოგადოებრივ ცხოვრების ისტორია; უნდა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი.

...გაზვიადებულ ადვოკატურ ისტორიის საჭიროებას მხოლოდ ის უნდა ჰგრძნობდეს, ვინც წარსულში ეძებს ხსნას, ან ვისაც წარსულის შესწავლით ჰსურს თავისი ეროვნული შელახული გრძნობა დააკმაყოფილოს და დაამშვიდოს. ხოლო ამ გვარი სურვილი აზრადაც არ უნდა მოუვიდეს იმ ეროვნების წარმომადგენელს, რომელიც სიცოცხლესა და მოქმედებაზე ჰფიქრობს.

...რა დიდი ღვაწლიც უნდა მიუძღოდეს ეროვნებას წარსულში, თუ იგი აწმყოში არას წარმოადგენს, ბრწყინვალე წარსული ვერას უშველის.

...თუ წარსულში რაიმე ნაკლი გვქონდა, ამას დამალვა კი არა, გამომჟღავნება უნდა: მხოლოდ იმას, ვინც თავის ნაკლს შეიგნებს, შეუძლიან იგი თავიდან მოიშოროს. ცხადია, მაშასადამე, რომ ქართველ მეცნიერს მამულიშვილური გრძნობა სრულებითაც არ ავალებს ბ-ნ გოგებაშვილისებური ,,ადვოკატური“ ისტორიები სთხზას. ...ჩვენ ,,ადვოკატური გამოსარჩლებითი“ ისტორიების წერა კი არ გვიშველის, არამედ პირუთვნელი, ყოველმხრივი, კრიტიკული შესწავლა და გამოკვლევა ჩვენის წარსულის და თანამედროვე ცხოვრებისა.

ივანე ჯავახიშვილი, მამულიშვილობა და მეცნიერება, თბ., 1904, გვ. 5-19.